2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის გლობალური განზომილება

DOI: https://doi.org/10.52340/splogos.2025.02.26

გიორგი ჯინჭარაძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი
Giorgi.jincharadze@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-4271-5562

აბსტრაქტი

ნაშრომი წარმოადგენს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის კომპლექსურ ანალიზს, როგორც რეგიონული კონფლიქტის გლობალური მასშტაბის მოვლენის მახასიათებლების განხილვას. აგვისტოს ომის გენეზისის, პოლიტიკური მნიშვნელობისა და შედეგების დეტალური შესწავლა მნიშვნელოვანია თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის, უსაფრთხოების კვლევებისა და გეოპოლიტიკური ანალიზის დისკურსში. სტატიაში სისტემურადაა ჩამოყალიბებული რუსეთის ფედერაციის რევიზიონისტული და ნეოიმპერიალისტური საგარეო პოლიტიკური სტრატეგია, რომლის მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცეში ჰეგემონიის განმტკიცება და საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესის სტრუქტურული დეგრადაცია.

ნაშრომის თემატური სპეციფიკიდან გამომდინარე, სტატიაში დეტალურადაა გაშუქებული კონფლიქტის ისტორიული გენეზისი, ეთნოსეპარატისტული მოძრაობების ინსტიტუციონალიზების მექანიზმები და „გეოპოლიტიკური ეშელონების“ ჩამოყალიბების დინამიკა, რამაც განაპირობა სამხრეთ კავკასიაში ძალთა ბალანსის სტრატეგიული ცვლილება. ეს ყველაფერი გაანალიზებულია შერჩეული კვლევითი მიდგომების გაერთიანებით ჩამოყალიბებული მეთოდოლოგიის მეშვეობით. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ნატოში გაწევრიანების ვექტორზე, რომელიც კრემლის მიერ აღქმულ იქნა, როგორც ეგზისტენციური საფრთხე და უშუალოდ იქცა სამხედრო ესკალაციის ტრიგერად.

სტატიაში ხაზგასმულია დასავლეთის, როგორც კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ქვაკუთხედის, რეაქციის ასიმეტრიულობა და ინსტრუმენტული შეზღუდულობა. ეს ქმნიდა „შეშინების“ (deterrence) მექანიზმების ეფექტიანობის დეფიციტს და წაახალისა აგრესორი სახელმწიფოს ქცევა.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში იკითხება, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ვალდებულებების სისტემური დევალვაციის მკაფიო მაგალითს, რაც რადიკალურად არღვევს ვესტფალიის მოდელზე დაფუძნებულ საერთაშორისო წესრიგს და ძირს უთხრის რეგიონისა და ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურის სტაბილურობას.

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, გეოპოლიტიკური ჰეგემონია, სეპარატიზმი და ეთნოკონფლიქტი, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, რეგიონული უსაფრთხოება.

The Global Dimension of the 2008 Russo-Georgian War

Giorgi Jincharadze
PhD Student, Caucasus International University
Giorgi.jincharadze@ciu.edu.ge
ORCID iD: https://orcid.org/0009-0004-4271-5562

Abstract

The study presents a comprehensive analysis of the 2008 Russian-Georgian war as an event of regional conflict with global dimensions, the examination of which is essential within the discourse of modern international relations theory, security studies, and geopolitical analysis. The article systematically highlights the revisionist and neo-imperialist foreign policy strategy of the Russian Federation, aimed at consolidating hegemony in the post-Soviet space and structurally undermining Georgia's Euro-Atlantic integration process.

By employing a rigorous scientific framework, the article thoroughly examines the historical genesis of the conflict, the mechanisms of institutionalization of ethno-separatist movements, and the dynamics of forming "geopolitical echelons," which contributed to a strategic shift in the balance of power in the South Caucasus. Special emphasis is placed on the vector of NATO

integration as an existential threat perceived by the Kremlin, which directly triggered military escalation.
The article explicitly demonstrates the asymmetry and instrumental limitations of the West's reaction, as the cornerstone of the collective security system, which created a deficit in the effectiveness of deterrence mechanisms and ultimately encouraged the aggressor state's behavior. In its concluding part, the study argues that the August 2008 war represents a clear example of the systemic devaluation of international legal norms and obligations, fundamentally disrupting the international order based on the Westphalian model and undermining the stability of both regional and European security architectures.
Keywords: Russian-Georgian conflict, geopolitical hegemony, separatism and ethnoconflict, Euro-Atlantic integration, regional security.

მე-20 საუკუნის ბოლოს, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ცალსახად იგრძნობოდა რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესთა კონფლიქტი. რუსეთის ფედერაცია ყველა არსებული რესურსით ცდილობდა რეგიონში ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების გაღვივებასა და საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკური განვითარების ხელის შეშლას. საპირწონედ, აშშ ხელს უწყობდა რეგიონის ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებას, ახორციელებდა ფინანსურ მხარდაჭერასა და საერთო პროექტების განხორციელებას. მხარეებს შორის ურთიერთდაპირისპირებამ, რეგიონში გავლენების განმტკიცებამ და ნატოს ფაქტორმა დიდი წვლილი შეიტანა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებაში.[320]

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მსგავსად, ქართულ-ოსური კონფლიქტის მომწიფება და სეპარატიზმის გაღვივება ოფიციალური კრემლის მიერ დაგეგმილი ხანგრძლივი პროცესი იყო. ქართულ-ოსური კონფლიქტიც მიეკუთვნება ეთნიკური

[320] Asmus, R. (2010). A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West. New York: St. Martin's Press.

კონფლიქტების რიცხვს, რომელიც საბჭოთა კავშირის მმართველობის შედეგია. სიტუაციის დაძაბვას ხელი შეუწყო პოლიტიკური ლიდერებისა და პოლიტიკოსების განცხადებებმა, რომელთა გაჟღერებაც კონფლიქტის მაპროვოცირებელი ფაქტორი გახდა. აღნიშნულის შედეგად, 1991-1992 წლებში, ეთნიკურ ოსებსა და ქართველებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება მოხდა.[321]

ისტორიულად,[322] 1920 წელს, ბოლშევიკების წაქეზებით, პირველად, შიდა ქართლში მცხოვრებმა ოსებმა აჯანყება მოაწყვეს. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს კრემლისთვის პირველ იმპულსად, რათა სეპარატიზმის გაღვივების მიზნით სამუშაოები ამ მიმართულებით დაწყებულიყო. საბჭოთა მმართველობის დამყარების შემდეგ, „სეპარატისტული ნაღმის“ ჩადების მიზნით, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში შეიქმნა ოსეთის ავტონომიური ოლქი. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი წარმოდგენილი იყო საკუთარი დებულებით, თუმცა დებულებას ამტკიცებდა საქართველოს საბჭოთა სოციალური რესპუბლიკა. 1925-1927 საბჭოთა მმართველობის პერიოდში, დღის წესრიგში, აქტიურად იდგა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანების საკითხი, თუმცა აღნიშნული იდეა მხოლოდ იდეად დარჩა .[323]

1980-იანი წლების ბოლოს, საქართველოში ეროვნული-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების შემდეგ, სიტუაცია დაიძაბა ქართველ და ოს ხალხს შორის. პირველი იმპულსი ოსების მხრიდან რადიკალური ორგანიზაციის „ადამონიხასის“ დაფუძნება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის გაერთიანებას.[324] ასევე, 1989 წლის ოქტომბერში ოსეთში პირველი ანტიქართული მიტინგი გაიმართა. მომიტინგეები ქართული მხარის მიერ ქართული ენის

[321] Torun, N. (2019). *Soviet nationality policy: Impact on ethnic conflict in Abkhazia and South Ossetia* (Master's thesis). University of South Florida.
[322] გოცირიძე, ლ. (2006). *სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ისტორია*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 18–20.
[323] Lang, D. M. (1962). *A Modern History of Georgia*. London: Weidenfeld & Nicolson.
– Provides detailed historical context on the 1920 Ossetian revolt and early Soviet intervention in Georgia.
[324] პაპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სახელმწიფო პროგრამის დადგენილების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. აღნიშნული ფაქტის საპირწონედ და სიტუაციის განსამუხტავად ქართულმა მხარემ ოსეთში დანაყოფები შეიყვანა.[325] დაპირისპირებამ მწვავე ხასიათი 1989 წლის 10 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მიიღო, რაც ნიშნავდა - სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლებას. აღნიშნული გულისხმობდა ავტონომიური ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გარდაქმნას და ასევე, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სახელმწიფო ენად - ოსური ენის გამოცხადებას. ეს წინააღმდეგობაში მოდიოდა საქართველოს პარლამენტის მხრიდან მიღებულ დადგენილებასთან - ქართული ენის კონსტიტუციურ სწავლებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ქვეყნის მასშტაბით ყველა სამეცნიერო-სასწავლო თუ ადმინისტრაციულ დაწესებულებაში მხოლოდ ქართული ენა უნდა ყოფილიყო გამოყენებული.[326] საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ ოსური მხარის გადაწყვეტილებები არ მიიღო და გააუქმა.

1989 წლის 23 ნოემბერს პირველად მოეწყო ქართული მხარის მიერ საპროტესტო აქცია ოსების წინააღმდეგ. დაახლოებით 20 ათასამდე მშვიდობიანი მომიტინგე ცხინვალში შესვლას შეეცადა, თუმცა საბჭოთა ჯარებმა მათ ქალაქში შესვლის ნება არ მისცეს, რასაც მოჰყვა შეტაკება ოს „ბოევიკებთან“. შეიარღებული დაპირისპირების შედეგად დაფიქსირდა მსხვერპლი. ქართველებსა და ოსებს შორის შეტაკებამ ოფიციალურ მოსკოვს ხელი შეუწყო განევითარებინა სეპარატისტული მუხტი და მოეხდინა მიზნების რეალიზაცია. 1990 წლის აპრილში საბჭოთა კავშირში მიღებულ იქნა კანონი საბჭოთა ავტონომიების უფლებების გაზრდის შესახებ, რამაც იურიდიული ბაზა შექმნა ეთნიკური დაპირისპირებების ესკალაციისთვის.[327]

[325] **Marietta, K.** (2025). *The Georgian–Ossetian Conflict*. Institut für Friedensforschung und Sicherheitspolitik, University of Hamburg.

[326] პაპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[327] Toal, G., & O'Loughlin, J. (2013). Why do people support secession? A survey experiment in the South Caucasus. *Nationalities Papers, 41*(1), 1–20.

1990 წლის 20 სექტემბერს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭომ, თხოვნით მიმართა მოსკოვს საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სუბიექტად აღიარების შესახებ, რაც ფაქტიურად საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას გულისხმობდა.[328] ასევე, ამ პერიოდში, საბჭომ ბოიკოტი გამოუცხადა საქართველოს საპარლამენტო არჩევნებს. 1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ გააუქმა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ყველა დადგენილება, რადგან ისინი წინააღმდეგობაში მოდიოდნენ საქართველოს კონსტიტუციასთან. 1990 წლის 9 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის მმართველმა რგოლმა საქართველოს საწინააღმდეგოდ მაინც ჩაატარა არჩევნები. აღნიშნული კი პირდაპირ დაუმორჩილებლობას გულისხმობდა. საპასუხოდ, საქართველოს უზენაესმა საბჭომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გააუქმა და მათ მიერ გამოცხადებული არჩევნები იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა. 1991 წლის 23 მარტს ყაზბეგში შეხვედრა შედგა ზვიად გამსახურდიასა და ბორის ელცინს შორის, სადაც მხარეები შეთანხმდნენ ერთობლივი მილიციის რაზმის შექმნაზე, რომელიც განაიარაღებდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირებას. [329]

1991-1992 წლებში საქართველოში მომხდარი სამხედრო გადატრიალების შემდეგ, განახლდა სამხედრო ესკალაცია სამაჩაბლოში. ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მოლაპარაკებების მცდელობის მიუხედავად, სამხედრო მოქმედებები კვლავაც გაგრძელდა. კონფლიქტმა როგორც ქართულ, ასევე ოსურ მხარეს დიდი ზიანი მიაყენა. სამხედრო მოქმედებები ერთი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და საბოლოოდ, მას შეეწირა დაახლოებით 3000, ხოლო საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა ათიათასობით ადამიანი. საბრძოლო მოქმედებების

[328] პაპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
[329] არეშიძე, მ. (2014). მსხვილი მოთამაშეების პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

შედეგად, განადგურდა როგორც ადმინისტრაციული ინფრასტრუქტურა, ასევე საცხოვრებელი სახლები. [330]

1992 წლის 25 ივნისს, ქალაქ სოჭში, ედუარდ შევარდნაძისა და ბორის ელცინს შორის ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტს.[331] 1992 წლის შემდეგ ჩნდება ტერმინი „ქართულ-ოსური" კონფლიქტი. მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა, წლების მანძილზე მხარეების მხრიდან არაერთხელ დაირღვა ნაკისრი ვალდებულებები, რამაც კიდევ უფრო ჩიხში შეიყვანა ურთიერთობები.

1993-2000 წლებში ქართულ-ოსური ურთიერთობების დასარეგულირებლად არაერთი შეხვედრა გაიმართა, ხელი მოეწერა მემორანდუმებსა და ხელშეკრულებებს, რომლებიც უკავშირდებოდა მხარეებს შორის ეკონომიკური, სოციალური, ჰუმანიტარული და პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენას და გამყარებას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ურთიერთობების სტაბილიზაცია ვერ ხერხდებოდა, უფრო მეტიც, სისტემატურად ადგილი ჰქონდა შეიარაღებულ თავდასხმებს და ვალდებულებების შეუსრულებლობას. ცხინვალის რეგიონში გაზრდილი იყო კრიმინოგენური სიტუაცია.[332]

ვარდების რევოლუციის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრობლემატიკის მოგვარების შემდეგ, მთელი საკუთარი ძალისხმევა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე იურისდიქციის აღდგენისკენ მიმართა. თუმცა, იმედები არ გამართლდა და 2008 წლის აგვისტოში ქართველებსა და ოსებს შორის სამხედრო ესკალაცია მოხდა.[333] რუსეთის ფედერაცია წლების მანძილზე ამზადებდა ნიადაგს, რათა გაეღვივებინა სეპარატიზმი და მოეხდინა ქართულ-ოსური

[330] Toal, G., & O'Loughlin, J. (2011). Inside South Ossetia: Surveying political attitudes in a de facto state. *Post-Soviet Affairs, 27*(1), 1–36.

[331] German, T. C. (2004). Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and the USA. Conflict Studies Research Center.

[332] Cornell, S. E. (2002). *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia*. Uppsala University, Department of Peace and Conflict Research.,25

[333] პაპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

დაპირისპირების ესკალაცია, რასაც ფაქტიურად მოჰყვა 2008 წლის აგვისტოს ომი. რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კი, ოფიციალურმა კრემლმა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო.[334]

2008 წლის მარტი-აპრილის პერიოდში საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები განსაკუთრებულად დაიძაბა. ყოველივე ზემოაღნიშნული დაკავშირებული იყო კრემლის რიტორიკასთან, რომელიც სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას გულისხმობდა. ამას დაემატა ის ფაქტიც, რომ მიხეილ სააკაშვილის მთავრობა არაერთხელ აფიქსირებდა ნატოში გაწევრიანების სურვილს და ამ მიმართულებით განსაკუთრებული ძალისხმევით მიმდინარეობდა მიზნისკენ ნაბიჯების გადადგმა. 2008 წლის ბუქარესტის სამიტზე ოფიციალურად დაფიქსირებულ იქნა საქართველოს მხრიდან ნატოში გაწევრიანების სურვილი.[335]

2008 წლის ივლისში სამაჩაბლოში ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ინციდენტებს, რომლებიც პროვოცირებული იყო კრემლის მხრიდან. შესაბამისად, დაძაბულობა მატულობდა, რაც საბოლოო ჯამში ვლინდებოდა სხვადასხვა შეიარაღებული თავდასხმებში. ამგვარ შეიარაღებულ თავდასხმებს მოჰყვა მსხვერპლიც და დაშავდა რამდენიმე ადამიანი. ყოველივე ზემოაღნიშნულს კი, დაძაბულობის შეიარაღებულ კონფლიქტში გადაზრდა მოჰყვა, რაც ეტაპობრივად განვითარდა, კერძოდ, 2008 წლის 7-8 ივლისს ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სტრუქტურების სპეც-სამსახურებმა უკანონოდ დააკავეს ქართველი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, ასევე რუსული სამხედრო თვითმფრინავების მხრიდან მოჰყვა საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევა.[336] 2008 წლის 24-28 ივლისს ცხინვალის მიმდებარედ, საქართველოს კონტროლირებად სოფელ ავნესში ოსური მხარის მიერ განხორციელდა აფეთქებები. ამას დაემატა, რუსეთის ფედერაციის მხრიდან ფართომასშტაბიანი

[334] Cornell, S. E. (2008). *War in Georgia, Jitters All Around. Current History, 107*(711), 307–314.
[335] Asmus, R. D. (2010*). A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West.* New York: Palgrave Macmillan, 40
[336] ყალიჩავა, კ. (2016). აგვისტოს ომის განხილვა ქართულ და ინგლისურ ენოვან ლიტერატურაში. თბილისი : უნივერსალი.

წვრთნების დაწყება რუსეთ-საქართველოს საზღვართან. ზემოაღნიშნულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო დაძაბულობის ესკალაციას. 2008 წლის 1 აგვისტოდან დაძაბულობამ პიკს მიაღწია და ქართველებსა და ოსურ მხარეს შორის კიდევ დაფიქსირდა რამდენიმე მცირემასშტაბიანი დაპირისპირება, რასაც მოჰყვა მსხვერპლიც. ამავდროულად, ოსურმა მხარემ რუსეთის ტერიტორიაზე დაიწყო საკუთარი მოსახლეობის ევაკუაცია. 4 აგვისტოს კი, რუსეთის შეიარაღებული ჯარების ბატალიონი როკის გვირაბის სიახლოვეს, ჩრდილოეთ მხარეს იქნა დისლოცირებული. 7 აგვისტოს რუსეთის 58-ე არმიის 150-მდე ჯავშანტექნიკა როკის გვირაბის გავლით საქართველოს ტერიტორიაზე შემოვიდა. 6-7 აგვისტოს საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ სოფელ ავნევის საგუშაგოსთან განლაგებულ ქართულ სამშვიდობო ძალებზე განხორციელდა ინტენსიური დაბომბვა, რასაც საპირწონედ მოჰყვა ქართული შენაერთების შესვლა სამაჩაბლოში, კერძოდ კი ქალაქ ცხინვალში.[337] 2008 წლის 8 აგვისტოს ქართულმა შენაერთებმა დაიკავეს ქალაქი ცხინვალი, თუმცა ამას რუსეთის მხრიდან მოჰყვა მყისიერი რეაგირება. დაიწყო ინტენსიური დაბომბვები რუსული ბომბდამშენებით (სამხედრო ავიაციის გამოყენებით) და კონფლიქტი ფართომასშტაბიან სამხედრო კონფრონტაციად გადაიქცა.

8 აგვისტოს დაიბომბა გორის საარტილერიო ბრიგადა, მარნეულისა და ვაზიანის სამხედრო აეროდრომები. ასევე, რუსულმა ბომბდამშენებმა დაბომბეს მარნეულისა და ბოლნისის სამხედრო ბაზები, ქარელის სოფელი ვარიანი და შავშვების მიმდებარე ტერიტორია. 9 აგვისტოს რუსული სამხედრო მოიერიშე თვითმფრინავების მიერ დაიბომბა ქალაქი ფოთი, სოფელი ჩხალთა და გაჩიანი, ზემო აფხაზეთის ადმინისტრაციული ცენტრი, კოპიტნარის აეროდრომი და ვაზიანის პოლიგონი. 10 აგვისტოს მოსკოვის ავიაგამადადგურებელმა ჭურვები ჩამოაგდო კოდორის ხეობაშიც, დაიბომბა სენაკის საავიაციო ქარხანა, თბილისის სამოქალაქო აეროპორტი და ქალაქი

[337] არეშიძე, მ. (2014). მსხვილი მოთამაშეების პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

გორი. 11 აგვისტოს სუ-24 ტიპის ავიაგამანადგურებლით დაიბომბა სენაკისა და შირაქის აეროპორტის ასაფრენი ბილიკები, სენაკის სამხედრო ბაზა და გორის სატანკო ბატალიონი. ასევე, კოდორის ხეობა და ბათუმის რაიონის სოფლები. 12 აგვისტოს რუსეთმა იერიში მიიტანა ქვეყნის თითქმის ყველა სტრატეგიულ ობიექტზე.[338]

კონფლიქტმა მოიცვა მთელი საქართველო, რაც საბოლოოდ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებით დასრულდა. ევროკავშირის მედიატორობით, საქართველოსა და რუსეთს შორის 6 პუნქტიან შეთანხმებას მოეწერა ხელი, რაც რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიიდან გასვლას და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შესახებ დისკუსიების დაწყებას ითვალისწინებდა. 2008 წლის 28 აგვისტოს კრემლმა ოფიციალურად აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რის შემდეგაც საქართველომ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები შეწყვიტა. 2008 წლის 23 ოქტომბერს კი საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ.[339]

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაიღუპა 850 ადამიანი. დაღუპულთაგან 412 - საქართველოს მოქალაქეა (228 სამოქალაქო პირი, 170 სამხედრო და 14 პოლიციელი). დაშავდა 1747 ადამიანი, ხოლო უგზო უკვლოდ დაკარგულად ითვლება 10 სამხედრო და 14 პოლიციელი. ომის შედეგად საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა 30 ათასამდე იძულებით გადაადგილებული პირი. ქართულმა მხარემ ომის შედეგად დაკარგა კონტროლი 189 სოფელზე (მათ შორის 16 დასახლებულ პუნქტზე კოდორის ხეობაში). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1989 წლის აღწერით, სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა რაოდენობა 98 ათას ადამიანს შეადგენდა. აქედან, 66,4

[338] Lucas, E. (2009). *The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West.* New York: Palgrave Macmillan., 37

[339] T T., G. (2015). The Paradox of Living in Paradise: Georgia's descent into Chaos. – In: The Guns of August 2008. NY-London: Armonk.

პროცენტს შეადგენდნენ ოსები, 28,8% - ქართველები, 2,1% რუსები, ხოლო სხვა დანარჩენ ეროვნებებს 2,7%.

იქიდან გამომდინარე, რომ აგვისტოს ომს არ მოჰყოლია დიდი გლობალური ცვლილებები, კონფლიქტი ერთი შეხედვით ჩანს როგორც რეგიონალური კონფლიქტი საქართველოსა და რუსეთს შორის, თუმცა, კონფლიქტი თავისი არსით წარმოადგენს გლობალურს. შეიძლება ითქვას, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებით გარკვეულწილად პოლიტიკურად დამარცხდა დასავლეთი. ევროპის მხრიდან ვერ მოხერხდა ომის პოლიტიკური მნიშვნელობის აღქმა, რადგან არ იქნა შემჩნეული და გააზრებული რუსეთის იმპერიალისტური მიზნები, საბჭოთა კავშირის ქვეყნების მიმართ ძალის მოპოვებისა და ძველი იმპერიის აღდგენის მისწრაფებები. შესაბამისად, ომს მოჰყვა ევროპისა და აშშ-ს მხრიდან რუსეთის მიმართ „გადატვირთვის“ პოლიტიკა და არა მკაცრი ზომები (მაგალითად სანქციები, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში ხდება). რუსეთის აგვისტოს ომში „წარმატება“ და იმპერიალისტური მიზნების შესრულება ევროპის უსაფრთხოების სისტემისთვის მიყენებულ საკმაოდ ძლიერ დარტყმას წარმოადგენდა, რომელიც უკრაინასთან მიმართებაში დღესაც გრძელდება. აღნიშნული კი, გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ აგვისტოს ომის შემდეგ, დასავლეთის მხრიდან მკაცრი ზომები უნდა განხორციელებულიყო კრემლის პოლიტიკის მიმართ. 2008 წლის ომის შემდეგ, განვითარებულმა მოვლენებმა თვალნათლივ აჩვენა, რომ დასავლეთმა, თავის მხრივ, დააჩქარა ახალი ფართომასშტაბიანი ინიციატივის „აღმოსავლეთის პარტნიორობა“ შემუშავება, რომელიც საქართველოსთან ერთად, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვას, აზერბაიჯანსა და სომხეთის თანამშრომლობის გაძლიერებას გულისხმობდა. რაც შეეხება რუსეთს, მან თუნდაც დესტრუქციული პოლიტიკითა და რეპუტაციის შელახვით, მიაღწია საკუთარ იმპერიალისტურ მიზნებს. შეიძლება ითქვას, რომ „სამხრეთ ოსეთის“ და აფხაზეთის აღიარებით, ერთგვარად, საპირწონედ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისთვის სამაგიეროც კი გადაუხადა დასავლეთს.

დღევანდელობისგან განსხვავებით, 2008 წლის რუსეთის ოკუპაცია განსხვავებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთს არ სურდა საერთაშორისო დონეზე ოკუპანტის სტატუსი შერჩენოდა, შესაბამისად მან დაგეგმა წინასწარი პროვოკაცია სამაჩაბლოს რეგიონში. აგვისტოს ომის უმთავრესი ფუნდამენტური მიზეზი აღმოჩნდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვექტორი, რომელიც იმ დროისთვის პირდაპირ უკავშირდებოდა ევროპასა და ევროატლანტიკურ სივრცეს. რუსეთის იმპერიალისტური მიზნებისა და ხისტი ძალის პოლიტიკიდან გამომდინარე, საქართველოსა და უკრაინის საწინააღმდეგო ბანაკში (ნატოში) გადასვლის მცდელობაც კი დაუშვებელი აღმოჩნდა კრემლისთვის. აღნიშნული კი, კარგად დადასტურდა 2008 წლის აპრილის ნატოს ბუქარესტის სამიტზე, სადაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა არ დაუშვა ამ ქვეყნების ნატოში გაწევრიანება. მოსკოვს ისედაც დიდი ზიანი მიაყენა ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების ნაწილის (სლოვენია, ხორვატია, ალბანეთი) ნატოში გაწევრიანებამ.[340] როდესაც რუსეთმა მიიღო იმის გარანტია, რომ საქართველო უახლოეს მომავალში არ/ვერ გახდებოდა ნატოს წევრი ქვეყანა, გადაწყვიტა მისი „დასჯა“. 2008 წლის აგვისტოს ომით კი რუსეთმა, ერთი მხრივ ევრაზიანისტული პოლიტიკის კუთხით გააფართოვა საკუთარი გავლენა სამხრეთ კავკასიაში, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს კიდევ დიდი ხნით გადაუვადა და შეუმცირა ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა.

მიუხედავად იმისა, რომ აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ფედერაცია გარკვეულწილად საერთაშორისო იზოლაციაშიც მოექცა და მსოფლიოს პოლიტიკურ პალიტრაზე აგრესიულ სახელმწიფოდ წარმოჩინდა, კრემლს საკუთარი დესტრუქციული და იმპერიალისტური პოლიტიკის წარმოება არ შეუწყვეტია, რაც კარგად გამოიხატა უკრაინასთან მიმართებაში. გლობალური თვალსაზრისით, აგვისტოს ომის შემდეგ, ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურამაც მსხვრევა განიცადა. ომის შემდეგ, კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ის ფაქტიც, რომ შესაძლოა

[340] Asmus, R. (2010). A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West. New York: St. Martin's Press.

სრულყოფილი ალიანსის „ნატოს“ წევრი ქვეყნებიც კი არ იყვნენ დაზღვეული გარეშე საფრთხეებისგან. [341]

2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოშიც მნიშვნელოვნად შეცვალა პოლიტიკური სურათი. დღესდღეისობით, ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში აღარ არსებობს განყენებულად ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური კონფლიქტები, არამედ ისინი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემადგენელ ნაწილად იქცა. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი კი სუვერენიტეტის საკითხად იქცა. საქართველო დამოკიდებული გახდა უსაფრთხოების გარანტიებზე და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომაზე.

აგვისტოს ომის შემდეგ, დასავლური სამყარო მზადყოფნას აცხადებს კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრაში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა სურვილის განხორციელებაში მნიშვნელოვნად შეზღუდულია, რადგან კონფლიქტის ორივე ზონას სრულად აკონტროლებს რუსეთის ფედერაცია.[342] შესაბამისად, ამ მოცემულობით, პარადოქსულია საერთაშორისო მეგობრობის მხრიდან აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რეალური სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება. ამდენად, კონფლიქტების ინტერნაციონალიზაციის მხრივ ვითარება არ შეცვლილა და კვლავ გადაუჭრელ პრობლემად რჩება.

საბოლოო ჯამში, რუსეთსა და საქართველოს შორის მომხდარი აგვისტოს ომი, შესაძლებელია განვიხილოთ როგორც მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის დაპირისპირება. მეცნიერებისთვის დღესაც დავის საგანია, 2008 წლის აგვისტოს ომი იყო თუ არა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს „დასჯის“ მაგალითი, თუ ეს იყო ილუსტრაცია და გზავნილი აშშ-ს მიმართ იმისა, რომ კრემლი პოსტბიპოლარულ სამყაროში კვლავ დომინანტ აქტორად გვევლინება როგორც კავკასიაში, ასევე ევრაზიის კონტინენტზე. ფაქტი ერთია, რომ მოსკოვმა კვლავ დაანახა

[341] Astrov, A. (2010). The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order. Ashgate.

[342] მანჭკაშვილი, მ. (2018). რუსეთი და სამხრეთ კავკასია. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“.

დასავლურ, ცივილიზებულ და დემოკრატიულ სამყაროს, რომ იგი საკუთარი პოლიტიკური ძალის დემონსტრირებისა და ინტერესებისთვის არ მოერიდება საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების დარღვევას. [343]

ზოგიერთი ექსპერტი აგვისტოს ომში დამნაშავედ მაშინდელ საქართველოს ხელისუფლებას, კერძოდ კი მიხეილ სააკაშვილს მიიჩნევს და თვლის, რომ რაციონალური პოლიტიკით სავსებით შესაძლებელი იყო ომის არიდება.[344] მათი აზრით, საქართველოსა და დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორობა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ამოცანაა, თუმცა არა იმდენად, რომ სახელმწიფო კატასტროფულ შედეგამდე მიიყვანოს. როგორც ექსპერტები განმარტავენ, ამ კუთხით, მნიშვნელოვანია დიპლომატიური, დაბალანსებული და რაციონალური პოლიტიკის გატარება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არეშიძე, მ. (2014). *მსხვილი მოთამაშეების პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში.* თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.
2. გოცირიძე, ლ. (2006). *სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ისტორია.* თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა,
3. კალიჩავა, კ. (2016). *აგვისტოს ომის განხილვა ქართულ და ინგლისურენოვან ლიტერატურაში.* თბილისი: უნივერსალი.
4. მანჭკაშვილი, მ. (2018). *რუსეთი და სამხრეთ კავკასია.* საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე".
5. პაპინაშვილი, დ. (2009). *სამხრეთ კავკასიის პრობლემები და რეგიონალური სტაბილურობის პრობლემები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

[343] Allison, R. (2008). Russia resurgent? Moscow's campaign to "coerce Georgia to peace*". International Affairs, 84*(6), 1145–1171

[344] Sergey M. Markedonov, M. A. (2020). Russia and the United States in the Caucasus: cooperation and competition.

6. Allison, R. (2008). Russia resurgent? Moscow's campaign to "coerce Georgia to peace". *International Affairs*, *84*(6), 1145–1171.
7. Asmus, R. D. (2010). *A Little War That Shook the World: Georgia, Russia, and the Future of the West*. New York: St. Martin's Press.
8. Astrov, A. (2010). *The Russian-Georgian War and its Implications for Global Political Order*. Ashgate.
9. Cornell, S. E. (2002). *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia*. Uppsala University, Department of Peace and Conflict Research.
10. Cornell, S. E. (2008). War in Georgia, Jitters All Around. *Current History*, *107*(711), 307–314.
11. German, T. C. (2004). *Faultline or Foothold? Georgia's Relations with Russia and the USA*. Conflict Studies Research Center.
12. Lang, D. M. (1962). *A Modern History of Georgia*. London: Weidenfeld & Nicolson.
13. Lucas, E. (2009). *The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West*. New York: Palgrave Macmillan.
14. Marietta, K. (2025). *The Georgian–Ossetian Conflict*. Institut für Friedensforschung und Sicherheitspolitik, University of Hamburg.
15. Markedonov, S. M., & Avatkov, M. A. (2020). *Russia and the United States in the Caucasus: Cooperation and Competition*.
16. T. T., G. (2015). The Paradox of Living in Paradise: Georgia's Descent into Chaos. In *The Guns of August 2008*. NY–London: Armonk.
17. Toal, G., & O'Loughlin, J. (2011). Inside South Ossetia: Surveying political attitudes in a de facto state. *Post-Soviet Affairs*, *27*(1), 1–36.
18. Toal, G., & O'Loughlin, J. (2013). Why do people support secession? A survey experiment in the South Caucasus. *Nationalities Papers*, *41*(1), 1–20.
19. Torun, N. (2019). *Soviet nationality policy: Impact on ethnic conflict in Abkhazia and South Ossetia* (Master's thesis). University of South Florida.